თამაზ ბერაძე

შრომების კრებული
სამ ტომად

ტომი III

საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

წიგნი წარმოადგენს საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეების ცნობილი მკვლევრის, თამაზ ბერაძის (1937-2012) შრომების კრებულის III ტომს. I ტომში გამოქვეყნდა მეცნიერის პერიოდულ სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდილი ნაშრომები, II ტომში - სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდილი და კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები, თეზისები და შინაარსები. როგორც პირველი ტომის ანოტაციაში იყო მითითებული, III ტომში მკითხველი უნდა გასცნობოდა მეცნიერის გამოუქვეყნებელ ნაშრომებს. ვინაიდან II ტომში თავი მოიყარა დიდი მოცულობის მასალამ, მასში ვერ მოხერხდა ავტორის საენციკლოპედიო და პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების განთავსება. ამიტომ III ტომში გამოუქვეყნებელი ნაშრომების ნაწილთან ერთად შესულია ენციკლოპედიებსა („ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ენციკლოპედია „საქართველო“) და სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები.

წინამდებარე წიგნში შესული ნაშრომების დიდი ნაწილი ეძღვნება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ქართული ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საკითხებს. განსაკუთრებით ფასეულია ნაშრომები საქართველოს ოკუპირებული მხარეების (აფხაზეთი, შიდა ქართლის ნაწილი - ცხინვალის რეგიონი, ისტორიული ტაო-კლარჯეთი) ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესახებ.

თ. ბერაძის ნაშრომები, მათი სამეცნიერო ღირებულებიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, ფრიად მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტებს, კარტოგრაფებს, სტუდენტებს, ასევე, ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმიერი სისტემის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

სამეცნიერო რედაქტორი:
მანანა სანაძე

სარედაქციო კოლეგია:
გონელი არახამია
თამარ ქორიძე
ბეჟან ხორავა

რედაქტორი:
მარინა ჟღენტი

ტექნიკური რედაქტორი:
ჯულიეტა ანდღულაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნინო სუარიძე

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2024

ISBN: 978-9941-9897-7-3
საქართველოს უნივერსიტეტი
კოსტავას 77ა
თბილისი, საქართველო 0171
2 55 22 22
info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

ნაკვეთი I. ენციკლოპედიებში გამოქვეყნებული სტატიები 9

ნაკვეთი II. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები 69

გალის რაიონის წარსულიდან 71
პატარა რეცენზია. ქართულ სათავადოთა ისტორია 75
ერთი უცნობი ფაქტი 77
საინტერესო გამოკვლევა 81
რიონი. ფასისიდან პონტომდე 83
ზოგი რამ წარსულიდან 84
კაშხალთა შემოსევა... 87
ეკოლოგია და საჯაროობა 88
ენგური 91
ალაზანი 98
არაგვი 103
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
(ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა) 109
ხობისწყალი 116
აფხაზეთი 120
შიდა ქართლის ისტორიიდან 130
უნიკალური გამოცემა 141
საჯიჯაოს საკრებულოს ძველი სახელი უნდა დაუბრუნდეს! 142
სამეგრელოს ისტორია. შესავალი 145
თავი I. ძველი ეგრისის (კოლხეთის) სამეფო 149
საქართველოს ზღვისპირეთი
(მოკლე გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა) 165
ზოგი რამ შავი ზღვის სახელწოდებათა შესახებ 165
ისტორიული საქართველოს შავიზღვისპირეთის მოკლე გეოგრაფიული
და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა 171

ნაკვეთი III. გამოუქვეყნებელი ნაშრომები 185

იმერეთის ისტორიული გეოგრაფიიდან 187
თავი I. ქვემო იმერეთი (შესავალი) 187
თავი II. ვაკე (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა) 189
თავი III. „არგვეთი“, „ზემო მხარი“
(ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა) 218

გაღმა მხარი 245
თავი I 245
§ 1. ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც წყარო გაღმა მხარის ისტორიული გეოგრაფიისათვის 245
§ 2. გიულდენშტედტის ცნობები გაღმა მხარის შესახებ 253
თავი II.გაღმა მხარი წინაფეოდალურ ხანაში 258
თავი III. „გაღმა მხარის“ ძირითადი მაგისტრალური გზები 265
თავი IV. „გაღმა მხარი“ ფეოდალურ ხანაში 273

დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული გეოგრაფიიდან 278
თავი I. ვახუშტი ბაგრატიონი და დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანეთი, ლეჩხუმი და რაჭა) ისტორიული გეოგრაფიის საკითხები 278
თავი II. რუსი ელჩების ტოლოჩანოვის და იევლევის ცნობები, როგორც წყარო, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიისათვის 295
თავი III. გიულდენშტედტი, როგორც წყარო დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის 300
გიულდენშტედტის ცნობები სვანეთის შესახებ 305
გიულდენშტედტი ლეჩხუმის შესახებ 306

დასავლეთ საქართველო XIII-XVIII საუკუნეებში
(ამ საუკუნეთა დასავლეთ საქართველოს რუკათა ლეგენდა) 309

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 364
საქართველოს საგარეო ვაჭრობა ადრე შუასაუკუნეებში (VI-X ს.ს.) 364
წინასიტყვაობა 364
შესავალი 365
საქართველოს საგარეო ვაჭრობა VI-X სს-ში 378

ვაჭრობის საკითხი აღმოსავლეთ საქართველოში
XVII ს.-სა და XVIII ს.-ის დასაწყისში 389

ქართული საზღვაო ტერმინოლოგია გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვმესი“, გიორგი მცირეს „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისა“ და ათონის ქართველთა მონასტრის აღაპების მიხედვით 408

გამოყენებული ლიტერატურა 413

საძიებელი 425

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულით დასრულდა თამაზ ბერაძის შრომათა სამტომეულის გამოცემა. წიგნი (III ტომი) სამი ნაკვეთისგან შედგება: პირველში შესულია მკვლევრის საენციკლოპედიო სტატიები, მეორეში – ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, მესამეში კი – გამოუქვეყნებელი ნაშრომების ნაწილი (თ. ბერაძის არქივში არაერთი ხელნაწერია დაცული, რომლებზე მუშაობა ავტორს დასრულებული არ ჰქონდა; მაღალი სამეცნიერო ღირებულებიდან გამომდინარე, ამ საარქივო მასალას უახლოეს ხანებში დავბეჭდავთ ცალკე წიგნად – რედ.).

თამაზ ბერაძის მიერ მომზადებული საენციკლოპედიო სტატიები დაბეჭდილია როგორც „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, ისე ენციკლოპედიაში „საქართველო“. უნდა აღინიშნოს, რომ სტატიების ნაწილი „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან“ უცვლელად არის გადმოტანილი ენციკლოპედიაში „საქართველო“, ნაწილი რედაქტირებული და შევსებულია ავტორის მიერ, ნაწილი კი დაწერილია სიცოცხლის ბოლო წლებში კონკრეტულად ენციკლოპედიისათვის „საქართველო“.

წინამდებარე კრებულში სრულად არის შეტანილი მეცნიერის საენციკლოპედიო სტატიები („ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან“ და ენციკოლოპედიიდან „საქართველო“); ისინი დალაგებულია ანბანურ რიგზე და თითოეულ მათგანს სქოლიოში მითითებული აქვს სრული ინფორმაცია განხორციელებული გამოცემის (ზოგ შემთხვევაში – გამოცემების), ასევე, სარედაქციო ჯგუფის მიერ შესრულებული ტექნიკური ხასიათის სწორების შესახებ.

კრებულში დაცულია აკადემიური ტექსტის გაფორმების აფა-ს სტილი, რაც გულისხმობს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის ბოლოში დართვას, თუმცა სარედაქციო ჯგუფის გადაწყვეტილებით, საენციკლოპედიო სტატიებთან დაკავშირებით დაიშვა გამონაკლისი და სრულად იქნა დაცული საენციკლოპედიო სტატიის გაფორმების წესი: თითოეულ სტატიას ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია (გარდა იმ სტატიებისა, რომელთაც ასეთი მითითება არც ენციკლოპედიაში აქვთ).

ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული (სამეცნიერო-პოპულარული) სტატიები დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით; სქოლიოში მითითებულია ინფორმაცია, თუ სად დაიბეჭდა თითოეული მათგანი პირველად. ამ სტატიების ერთი ნაწილი გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ (1983 წ. რამდენიმე ნომერი) და ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში“ (1988-1990 წწ. გამოცემები), ნაწილი კი – სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „აიასა“ და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ალმანახ „კარიბჭეში“; ასევე, გალისა და ხობის რაიონულ გაზეთებში – „ლენინელი“ და „ზენი“. დასახელებულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების უდიდესი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ეხება; მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისინი, რომლებიც ოკუპირებული მხარეების (აფხაზეთი, შიდა ქართლი – ცხინვალის რეგიონი, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) ისტორიას მოიცავს. ასევე, სტატიები საქართველოს დიდი მდინარეების (რიონი, ენგური, არაგვი,

ალაზანი, ხობისწყალი) შესახებ, რომლებშიც ავტორი საუბრობს დღემდე აქტუალურ საკითხზე, კერძოდ, დიდი ჰესების მშენებლობით გამოწვეული პრობლემების – ბუნებასა და კლიმატზე მათი ნეგატიური ზეგავლენის შესახებ.

კრებულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს თ. ბერაძის ის ნაშრომები, რომლებიც ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობია. ასეთი ნაშრომების ერთი ნაწილი საბეჭდ მანქანაზეა აკრეფილი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შესრულებულ წლიურ სამეცნიერო თემებს წარმოადგენს. ისინი შეეხება იმერეთის, კერძოდ, ქვემო იმერეთის, ვაკეს, არგვეთის, ზემო მხარის, გაღმა მხარის; აგრეთვე, სვანეთის, რაჭისა და ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. გარდა საისტორიო წყაროებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა, დასახელებული რეგიონების ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლას საფუძვლად უდევს თავად ავტორის მიერ სამეცნიერო ექსპედიციებში მოპოვებული და დამუშავებული მასალა.

თამაზ ბერაძემ მონოგრაფიულად შეისწავლა ზღვაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის ისტორია საქართველოში. როგორც ჩანს, იგი კვლავ აგრძელებდა ვაჭრობის ისტორიისა და ქართული საზღვაო ტერმინების კვლევას. ამის დასტურია მისი ნაშრომები, რომლებიც შეეხება საქართველოს საგარეო ვაჭრობას VI-X სს-ში, ვაჭრობის საკითხს აღმოსავლეთ საქართველოში XVII-XVIII სს-ში, აგრეთვე, ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის გამოვლენას გიორგი მთაწმინდელისა და გიორგი მცირეს ნაშრომებსა და ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნებში; ეს შრომები წინამდებარე წიგნის გამოუქვეყნებელი ნაშრომებისათვის საგანგებოდ გამოყოფილ ნაკვეთშია განთავსებული. აღსანიშნავია, რომ მეცნიერის არქივში დაცულია მის მიერ შედგენილი ქართული საისტორიო გეოგრაფიისა და საზღვაო საქმის ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, რომლის გამოცემაც სამომავლოდ ცალკე წიგნად იგეგმება.

თ. ბერაძის ზოგიერთი წლიური საანგარიშო თემა დათარიღებულია, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ მათი დიდი ნაწილი გასული საუკუნის 70-90-იან წლებშია დაწერილი. ნაშრომის ზოგიერთ ფურცელზე ავტორს საკუთარი ხელით აქვს გაკეთებული მინაწერები – შენიშვნები და განმარტებები, ზოგან კი სქოლიოში ჩამატებული გამოყენებული ლიტერატურა. ეს ადასტურებს, რომ მკვლევარი უკვე წაკითხული თემების სრულყოფაზე მუდმივად მუშაობდა. მართალია, აშკარაა, რომ ავტორს ეს მოხსენებები დასრულებულ სამეცნიერო ნაშრომებად არ მიაჩნდა და ამიტომაც არ ჩქარობდა მათ გამოქვეყნებას, მაგრამ ვფიქრობთ, ამ სახითაც კი ისინი გარკვეულ დახმარებას გაუწევს და დააინტერესებს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ფართო მკითხველ საზოგადოებას.

მეცნიერის არქივში დაცული ზოგიერთი ნაშრომი სტრუქტურირებული და დაყოფილია თავებად და ქვეთავებად. ისინი დანომრილია რომაული ციფრებით, ქვეთავები კი – დასათაურებული. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ნაშრომს, სამწუხაროდ, აკლია რამდენიმე გვერდი, თუმცა ეს არ აკნინებს მათ სამეცნიერო ღირებულებას და არ არღვევს შინაარსობრივ მთლიანობას. თითოეული თავი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ნაშრომია და ძირითადად, ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობას წარმოადგენს პერიოდების ან კონ-

კრეტული ავტორების (ვახუშტი ბატონიშვილი, გიულდენშტედტი, რუსი ელჩები) აღწერილობების მიხედვით.

ასეთი ნაშრომები თემატურად გავაერთიანეთ და დავასათაურეთ – „იმერეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“ და „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“ – თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითოეული მათგანის ქვეთავების სათაურები ავტორისეულია. სქოლიოში მითითებული ლიტერატურა გადავიტანეთ გამოყენებული ლიტერატურის საერთო სიაში, სქოლიოში დავტოვეთ მხოლოდ ავტორისეული განმარტებები ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის თაობაზე. შემოწმდა და ჩასწორდა ამონარიდები წყაროებიდან, გასწორდა გრამატიკული შეცდომები, გაუმართავი წინადადებები და სხვა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. არაბული ციფრები საჭიროების კვალობაზე შეიცვალა რომაულით.

სარედაქციო კოლეგია დიდ სირთულეებს წააწყდა დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის გამართვისას; აღმოჩნდა, რომ ბატონ თამაზს გამოუცემელ ნაშრომებში, ზოგ შემთხვევაში, მითითებული ჰქონდა მხოლოდ დამოწმებული ავტორის გვარი ინიციალის გარეშე ან ავტორის გვარი და გვერდი სათაურის მითითების გარეშე; ზოგ შემთხვევაში კი – მრავალტომეულის სათაური და გვერდი ტომის მითითების გარეშე. კრებულში ასეთი დამოწმებების უდიდესი ნაწილი დაზუსტებულია; ავტორისეული მითითების სახით დავტოვეთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რომლის მოძიებაც ვერ მოხერხდა.

კრებულს ერთვის თ. ბერაძის მიერ შედგენილი სამი რუკა, ესენია: 1. ზემო მხარი/ ზემო ქვეყანა/ და არგვეთი XVI-XVIII სს-ში; 2. ზემო მხარი გვიანფეოდალურ ხანაში და 3. ფრონეს ხეობა. ასევე, მისი ხელნაწერი ტექსტის ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ აქ დასახელებულთაგან პირველი რუკა (ზემო მხარი/ზემო ქვეყანა/ და არგვეთი XVI-XVIII სს-ში) მან დაურთო სტატიას – დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (იხ.: ჟ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, I, თბ. 1982, გვ. 108-121); აღნიშნული სტატია რუკასთან ერთად დაიბეჭდა თ. ბერაძისადმი მიძღვნილ შრომების კრებულში (იხ.: თამაზ ბერაძე, შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I, თბ. 2018, გვ. 529). წინამდებარე კრებულში იმავე გეოგრაფიული და ქრონოლოგიური არეალის მომცველი რუკის განთავსება იმიტომ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, რომ მას ახლახან მივაკვლიეთ მეცნიერის საარქივო მასალებში; ამასთან, უკვე გამოქვეყნებულთაგან შინაარსობრივად რამდენადმე განსხვავებულია.

თამაზ ბერაძის შრომების III ტომის გაცნობა სამეცნიერო და საკითხით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაარწმუნებს, თუ როგორი უაღრესად ერუდირებული და შესანიშნავი მეცნიერ-მკვლევარი იყო იგი და თავისი სიღრმისეული კვლევებით რაოდენ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ისტორიოგრაფიისა და, ზოგადად, ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარებაში.

ნაკვეთი I

ენციკლოპედიებში გამოქვეყნებული

სტატიები

გაგრა*, ქალაქი (1933 წლიდან) დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, გაგრის ზონის ცენტრი. მდებარეობს გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე, შავიზღვისპირა საავტომობილო გზატკეცილზე, BPG Nostalgia (TT) გაგრის უბის ვიწრო სანაპირო ზოლში. რკინიგზის სადგური. ნავმისადგომი. ზღვის დონიდან 7-50 მ, სოხუმიდან 90 კმ., თბილისიდან 534 კმ. 26,9 ათასი მაცხოვრებლით (1991).

დასახელება „გაგრა“ პირველად გვხვდება XIII ს. ვენეციურ რუკაზე, ხოლო წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში გ ა გ ა რ ი ს ფორმით. აღნიშნულია, აგრეთვე, XIV-XV სს-ის იტალიურ რუკებზე ყველაზე ახლოს მის არსებულ გეოგრაფიულ მდებარეობასთან, თანამედროვე გაგრის უბის სიღრმეში, ძველ ციხესიმაგრესთან. აქ ადამიანს ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში უცხოვრია. გვიან ანტიკურ ხანაში აუგიათ ციხე, რომელიც ბევრჯერ გადაუკეთებიათ. გაგრა შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო. 1901 წელს გაგრაში კლიმატოლოგიური სადგურის მშენებლობით იწყება მისი, როგორც კურორტის, ისტორია. 1901 წელს ოლდენბურგის პრინცმა ნიკოლოზ II-ისგან საჩუქრად მიიღო გაგრის საუკეთესო მიწები მიმდებარე ტერიტორიებით. 1901-1914 წლებში გაგრაში აშენდა პრინც ოლდენბურგის სასახლე (ამჟამად დასასვენებელი სახლი „თოლია“), რამდენიმე სასტუმრო („გაგრიფში“ და სხვ.), კერძო აგარაკები, სასამსახურო შენობები, სკოლა და სხვ. გაშენდა დენდროლოგიური პარკი.

გაგრა ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია. გაგრის მთების კალთები დაფარულია სუბტროპიკული ფოთლოვანი ტყით. ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია, იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წყლის ტემპერატურა 14,1°C, იანვრის 6,2°C, აგვისტოს 24,5°C. ზაფხულის სიცხეს რამდენადმე ანელებს ჟოეკვარისა და გაგრიფშის ხეობებიდან მოდენილი გრილი ჰაერის ნაკადი. ნალექები 1340 მმ. წელიწადში. მზის ნათების ხანგრძლივობა 1830 სთ. წელიწადში. ზღვის წყლის ტემპერატურა ზაფხულში 22-26°C. საბანაო სეზონი – მაისიდან ნოემბრამდე. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია ჰავა, ზღვა, პლაჟი. სამკურნალო საშუალება: ბალნეოკლიმატოთერაპია და სულფიდური სულფატურ – ჰიდროკარბონატული კალციუმიან – მაგნიუმიანი მინერალური თერმული წყალი (ტემპერატურა 43°C, დებიტი 1100 $მ^3$/დღე-ღამეში). სამედიცინო ჩვენება: გულსისხლძარღვთა სისტემის, სუნთქვის ორგანოთა არასპეციფიკური, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, მოძრაობის ორგანოთა და გინეკოლოგიური დაავადებები. გაგრაში მოქმედებდა 12 სანატორიუმი, 11 დასასვენებელი სახლი და პანსიონატი, საკურორტო პოლიკლინიკა, 3 საავადმყოფო (410 საწოლი), დისპანსერები, ლაბორატორიები, ზღვისა და მინერალური წყლის სააბაზანოები, სასტუმრო „აფხაზეთი“, ტურბაზა და სხვ.

გაგრაში იყო ხორცკომბინატი, რძის, უალკოჰოლო სასმელების ქარხნები, 7 ბაგა-ბაღი, 7 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მუშა-ახალგაზრდობის, სპორტული და სამუსიკო სკოლები, ბიბლიოთეკა, კულტსახლი, კინოთეატრი, სპორტული ბაზები, სტამბა, კულტურისა და დასვენების პარკი.

---

* პირველად გამოქვეყნდა: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1977). ტ. 2. თბ. გვ. 612. თანაავტორები: ლაშხია, შ., უშვერიძე, გ., რჩეულიშვილი, ლ.; მეორედ – საქართველო, ენციკლოპედია. (1997). ტ. 1. თბ. გვ. 528-529. თანაავტორები: ლაშხია, შ., უშვერიძე, ზაქარაია, პ., ბაგრატიონი, ე.

ქალაქის დასავლეთ ნაწილში (ძვ. გაგრა), მდ. ჟოეკვარის მარცხენა ნაპირზე იდგა მოზრდილი ციხე თავისი ეკლესიით. ციხე საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მეფის მთავრობამ აღადგინა (1830) და იქ თავისი გარნიზონი ჩააყენა. დღეისათვის შემორჩენილია ციხის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ გალავნები. ამ კედლებში მშენებლობის 2 ფენა ჩანს. პირველი ფენა ადრინდელი ხანისაა, ხოლო – მეორე, გვიანდელი, შუა საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. პირველ ფენაში ამბრაზურები არ შემორჩენილა, მეორე ფენის კედლებში კი სათოფურებია ჩამწკრივებული. გალავნის შიგნით დგას საშუალო სიდიდის VI-VII საუკუნეების ეკლესია. იგი ორიგინალურადაა გადაწყვეტილი და უფრო სამ ეკლესიიან ბაზილიკებს უახლოვდება. შესასვლელი დასავლეთ და სამხრეთ მხრიდან აქვს. შუა ნავი არაზუსტი და ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება და გვერდითებთან თითოთითო კარითაა დაკავშირებული. ჩრდილო ეკლესია ცენტრალურზე დაბალია და მისგან განსხვავებით ნალისებრი მოხაზულობის აფსიდი აქვს. სამხრეთის მხარე 2 მონაკვეთისგან შედგება. აღმოსავლეთის სათავსი სწორკუთხაა, დასავლეთისა აფსიდის მაგვარი მომრგვალებით მთავრდება. ყველა ნავს რამდენიმე სარკმელი ანათებს. ფასადები შემოსილია ოდნავ დამუშავებული ქვით. მორთულობებიდან აღსანიშნავია წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის მოხაზულობა. ერთი მათგანი დასავლეთ კარის ტიმპანზეა, მეორე კი – იმავე ფასადზე, უფრო მაღლა. ბაზილიკა აღდგენილია XIX ს-ში.

გაგრის განაშენიანების უკანასკნელი გენერალური გეგმა დამტკიცდა 1977 წელს (ავტორები: ე. ბაგრატიონი, ლ. გოშაძე, ნ. მიქაძე, კონსულტანტი-რუსეთის დამსახურებული არქიტექტორი ა. კუზნეცოვი).

გალი*, ქალაქი (1932 წ-დან) დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. გალის რ-ნის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ერისწყლის მარცხენა ნაპირას, თბილისი-სოხუმის რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალზე. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 48 მ, სოხუმიდან 83 კმ, თბილისიდან 361 კმ. 15.7 ათასი მცხოვრები (1991). ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. საშუალო წლიური ტემპერატურა 13,7°C, იანვარში 4.5°C, ივლისში 22,8°C. ნალექები 1650 მმ. წელიწადში.

გალის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში უცხოვრია. ნაპოვნია, აგრეთვე, ნეოლითის ხანის კაჟის იარაღები და ბრინჯაოს ნივთები. გალი აღნიშნულია იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე (1654) გოგიელის სახელწოდებით. ამ დროს იგი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. XVIII ს. დასაწყისიდან შევიდა სამურზაყანოს შემადგენლობაში. 1906 წ. სამურზაყანოს ცენტრი ოქუმიდან გალში გადაიტანეს. 1928-30 წლებში გალის მაზრის ცენტრი იყო, 1931 წლიდან – გალის რაიონისა.

გალში იყო ჩაის პირველადი გადასამუშავებელი 2 ფაბრიკა, ხის დასამზადებელი და დასამუშავებელი კომბინატი, საკონსერვო და ლიმონათის ქარხნები, 11

* პირველად გამოქვეყნდა: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1977). ტ. 2. თბ. გვ. 639. თანაავტორი: ჯაოშვილი, ვ.; მეორედ – საქართველო. ენციკლოპედია. (1997). ტ. 1. თბ. გვ. 535. თანაავტორები: ჯაოშვილი, ვ., ბაგრატიონი, ე.

ბაგა-ბაღი, 4 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მოსწავლეთა სახლი, 2 სამუსიკო სკოლა, სპორტული სკოლა, მრავალდარგოვანი სასწავლებელი, ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კინოთეატრი, სახალხო თეატრი, საცხენოსნო სპორტული კლუბი, საავადმყოფო (250 საწოლი), 2 პოლიკლინიკა, დისპანსერი, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება, სტამბა. 1979 წ. დამტკიცდა გალის განაშენიანების გენერალური გეგმა (არქიტექტორები რ. ხატიაშვილი, ი. ხუციშვილი, ეკონომისტი ლ. მაქაცარია).

გალის რაიონი*, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. ჩრდილოეთით ესაზღვრება ოჩამჩირის, აღმოსავლეთით – წალენჯიხის, სამხრეთით – ზუგდიდის რ-ნები, დასავლეთით შავი ზღვა. ფართობი 1002.5 კმ^3. მოსახლეობა 79,6 ათ. კაცი (1991). ცენტრი – ქ. გალი. გალის რ-ში იყო 1 ქალაქი, 91 სოფელი, 25 სოფლის საკრებულო: აჩიგვარის, ბედიის, განახლების, გუდავის (ცენტრი – მეორე გუდავა), დიხაზურგის, ზემო ბარღების, თაგილონის, ის, მზიურის, მუხურის, ნაბაკევის, ოტობაიის, (ცენტრი – პირველი ოტობაია), ოქუმის, პირველი გალის (ცენტრი – სამქვარი), რეფო-შეშელეთის (ცენტრი – რეფო ეწერი), რეჩხის, საბერიოს, სიდის, ფიჩორის, ქვემო ბარღების, ღუმურიშის (ცენტრი – ზემო ღუმურიში), ჩხორთოლის, წარჩის, ჭუბურხინჯის, ხუმუშქურის. 3 მუშათა დასახლება: გუდავის ჰიდრომშენებელთა, პირველი გალისა და ენგურჰესის.

ისტორიული ცნობა. ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორია უძველეს ხანაში კოლხეთის სამეფოში შედიოდა, ადრინდელ ფეოდალურ ხანაში – ეგრისის, შემდეგ – „აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში, XII ს-იდან ოდიშის საერისთავოში იყო, შემდეგ კი – ოდიშის სამთავროში. XVIII ს-დან ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორია ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის რამდენიმე სოფელთან ერთად ისტორიულ სამურზაყანოს წარმოადგენდა. 1805 წელს სამურზაყანოს უდიდესი ნაწილი რუსეთის მფარველობაში იყო. 1813 წელს აქ სამეგრელოს მთავრის ხელისუფლება დამყარდა, 1840 წელს რუსული მმართველობა. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1864) ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორია სოხუმის ოკრუგში შევიდა (1917 წლამდე), 1918-1930 წლებში საქართველოს ფარგლებში შექმნილ აფხაზეთის სსრ-ში შევიდა ჯერ სამურზაყანოს მაზრის, შემდეგ გალის მაზრის სახელწოდებით. 1931 წლიდან აფხაზეთის ერთ-ერთი რაიონია.

ბუნება. გალის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მთიანია, სამხრეთ – დასავლეთი – ვაკე-დაბლობი. რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს საშუალო სიმაღლის ინტენსიურად დაკასტული ოხაჩქუის და ოსირის ქედები, აგრეთვე, აკიბის ქედი, რომლებიც სამხრეთით გორაკ-ბორცვებიან ზონაში გადადის. ქ. გალის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულია ანტიკლინური სერი სათანჯო (506 მ.), კიდევ უფრო სამხრეთით, მდ. ენგურამდე, გადაჭიმულია 20-30 მეტრი სიმაღლის სამურზაყანოს დაბლობი. ზღვის ნაპირის გასწვრივ განვითარებულია დიუნები.

* პირველად გამოქვეყნდა: საქართველო. ენციკლოპედია. (1997). ტ. 1. თბ. გვ. 536-537. თანაავტორები: მგელაძე, კ., ლაშხია, შ., ცინცაძე, ა.

მთიანი ნაწილი აგებულია ცარცული ასაკის კირქვებით; უკიდურესი ჩრდილოეთი ზოლი – იურული პორფირიტებით, ტუფქვიშაქვებით, ტუფბრექჩიებით; გორაკ-ბორცვიანი ზონის აგებულებაში მონაწილეობს მესამეული კირქვები, მერგელები, თიხები, კონგლომერატები და ქვიშაქვები. სამურზაყანოს დაბლობი აგებულია მეოთხეული რიყნარით, ქვიშებითა და თიხებით. სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია თაბაშირის საბადო (ოქუმი).

რაიონში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. სამურზაყანოს დაბლობსა და გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში იცის რბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. იანვრის საშუალო ტემპერატურა 4-6°C, ივლისში 24°C; აბსოლუტური მინიმუმი – 12°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. ნალექები 1650-1760 მმ. წელიწადში. ნალექების მაქსიმუმი მოდის ზაფხულსა და შემოდგომაზე (ბოლო წლებში ნალექებმა იმატა, რაც გამოწვეულია რაიონის ტერიტორიაზე წყალსაცავების გაშენებით). ხშირია მუსონური ხასიათის ქარები. მთიან ზონაში იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. იანვრის საშუალო ტემპერატურა 0-2°C, ივლისში 18-20°C; აბსოლუტური მინიმუმი – 14°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 34°C. ნალექები 1600-1800 მმ. წელიწადში. ქედების თხემურ ნაწილში ჰაერის ტემპერატურა კიდევ უფრო დაბალია. ნალექები 1800-2000 მმ. წელიწადში.

ყველაზე დიდი და წყალუხვია მდინარე ოქუმი. რაიონის ტერიტორიაზე გაედინება მდინარეები ერისწყალი, ოხოჯა, ჩხორთოლი, ანარია, გაგიდა და სხვ., ზუგდიდის რაიონთან საზღვარზე – მდ. ენგურის მნიშვნელოვანი ნაწილი. მდინარეები საზრდოობენ უმთავრესად წვიმის წყლით, მდ. ოქუმი – ნაწილობრივ თოვლის წყლითაც. ბარის მდინარეებს ახასიათებს წყალმოვარდნა მთელი წლის განმავლობაში, მთის მდინარეებს კი – გაზაფხულის წყალდიდობა. ვაკე-დაბლობზე არის ბებესირის ტბათა ჯგუფი. ოხაჩქუის მასივზე პატარა კარსტული ტბებია. რაიონის ტერიტორიაზეა გალის წყალსაცავი.

სამურზაყანოს დაბლობის ზღვისპირა ზოლში მდინარეების ენგურსა და გაგიდას შორის, გავრცელებულია ჭაობის ლამიანი ნიადაგი, უფრო ჩრდილოეთით, მდ. ერისწყლის შესართავამდე – მდელო-ჭაობის, ზღვიდან 3-4 კმ-ზე (ენგურისა და ოქუმის შუამდინარეთში) ჭაობ-ტორფიანი ნიადაგებია. გორაკ-ბორცვიან ზონაში წითელმიწა, ყვითელმიწა და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგებია, კირქვებზე – კორდიან-კარბონატული, აკიბისა და ოხაჩქუის ქედებზე ტიპური და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებია.

ზღვისპირა სანაპირო ზოლში ფსამოფილური მცენარეულობაა: დიუნებზე იზრდება რძიანა, ლურჯი ნარი, ისლი და სხვ.; ზღვიდან მოშორებით, ძველ დიუნებზე, გავრცელებულია მაყვალი, ძეძვი, კუნელი, კოწახური და სხვ. დამახასიათებელია ლიანები: კატაბარდა, ღვედკეცი, ეკალღიჭი. მდინარეთა დელტებში ხარობს ქაცვი და იალღუნი, დიდი ბებესირის ტბის მიდამოებში ვხვდებით ენდემურ პონტურ ჰიბისკუსს, რელიქტურ წყლის კაკალს. ჭაობში იზრდება ჭილის რამდენიმე სახეობა, ლაქაში, წყლის ზამბახი, ლელქაში, ლერწამი. დიდი ფართობი უჭირავს მურყნის ტყეს, აქვე ხარობს ლაფანი, თეთრი თუთა, იფანი და სხვ. ქვეტყეში ხშირია მარადმწვანე და ფოთოლმცვივანი ბუჩქები: შქერი, იელი, ძახველი; უხვადაა ლიანები. დაბლობისა და მთისწინეთის კოლხური ტყის ძირითადი ედიფიკატორე-

ბია ქართული და იმერული მუხა, წაბლი, რცხილა, წიფელი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, მურყანი, თხმელა და სხვ. ბევრია გარეული ხეხილი: ხურმა, ლეღვი, მაჟალო, პანტა, ტყემალი და სხვ. მესამეული ფლორის რელიქტებიდან აღსანიშნავია შქერი, წყავი, ბაძგი, ქაცვი, თაგვისარა; ფოთოლმცვივანი ბუჩქებიდან ხშირია ჯონჯოლი, თხილი, თუთუბო. დიდი რაოდენობითაა ლიანები: სურო, ღვედკეცი, კატაბარდა და სხვ. კოლხური ტყის უმეტესი ნაწილი ამჟამად გაჩეხილია და მისი ადგილი უჭირავს ჩაის პლანტაციებს, ციტრუსებს, ხეხილის ბაღებსა და სიმინდის ყანებს. რაიონში ტყის ზედა საზღვარი საშუალოდ 1900-2000 მ-ზე გადის. 700 მ-იდან 1400 მ-მდე ჭარბობს რცხილნარ-წიფლნარი და წიფლნარი. ქვეტყეში არის იელი, წყავი, კავკასიური მოცვი, შქერი, ბაძგი, თაგვისარა; 1200-1400 მ. ზემოთ ფართოფოთლოვანებთან ერთად ხარობს წიწვოვანები, განსაკუთრებით, სოჭი და ნაძვი, რომლებიც წიფლნარ-სოჭნარს და სოჭნარ-ნაძვნარს ქმნიან. ტყის ზემოთ სუბალპური მდელოებია.

დაბლობის ტყეში აქა-იქ ბინადრობენ გარეული ღორი, შველი, ტურა, მელა, კავკასიური თხუნელა და სხვ. ფრინველებიდან – ლელიანის მეჩალია, გრატა, იხვინჯა, ყანჩა და სხვ. შემოდგომაზე მოფრინავენ ტყის ქათმები, მწყერები. არის ჩვეულებრივი და წყლის ანკარა, მდინარის კუ, ბაყაყი, გომბეშო, ვასაკა; თევზებიდან – ენდემური კოლხური კვირჩხლა, კობრი, ღორჯო, ორაგული, კაპარჭინა, შამაია და სხვ. მთის ტყეში ბინადრობენ მგელი, ტურა, მელა, კვერნა, წავი, დედოფალა, მაჩვი, ტყის კატა, შავი და რუხი ვირთაგვა, ძილგუდა, კურდღელი, გარეული ღორი, შველი; ფრინველებიდან – ნიბლია, ჩიტბატონა, წივწივა, წიწკანა, შაშვი, კოდალა, ჩხიკვი, ღაჟო, ნისკარტმარწუხა, ქორი, მიმინო, ძერა და სხვ.; ქვეწარმავლებიდან არის კავკასიური გველგესლა, ხვლიკი, გველხოკერა კუ და სხვ. მთის მდინარეებში იცის ტობი, კალმახი და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. სანაპირო ქვიშიან-ხრეშიანი დიუნები ფსამოფილური მცენარეულობით; 2. დაჭაობებული ვაკე-დაბლობი უმთავრესად მურყნარითა და ლამიან-ჭაობიანი ნიადაგით; 3. სუსტად დახრილი ვაკე-დაბლობი კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგებით; 4. ბორცვიან-ტერასული მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით, წითელმიწა, ყვითელმიწა და კორდიან-კარბონატული ნიადაგებით; 5. კარსტული დაბალი მთები რცხილნარ-მუხნარითა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგით; 6. საშუალო სიმაღლის მთები წიფლისა და წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყეებით და კორდიან-კარბონატული ნიადაგით; 7. სუბალპური ტყემდელო მთის მდელოს კორდიან-კარბონატული ნიადაგით.

მოსახლეობა. 1989 წლის აღწერით გალის რაიონში ცხოვრობდნენ ქართველები (93,8%), აფხაზები (0,8%), აგრეთვე, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზღვის დონიდან 200 მ-მდე. საშუალო სიმჭიდროვე – 79,4 კაცი 1 კმ^2-ზე, ბუნებრივი მატება ყოველ 1000 კაცზე – 6,6 კაცი. რაიონის მთელი მოსახლეობის 88% ცხოვრობდა სოფლად.

მეურნეობა. გალის რაიონი ინდუსტრიულ-აგრარული რაიონი იყო. ელექტროენერგეტიკა იძლეოდა რაიონის სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარს; 8 ჩაის ფაბრიკა (2 გალის, მზიურის, აჩიგვარის, ნაბაკევის, ჭუბურხინჯის, ოქუმის,